

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №75

სხდომის დაწყების დრო 19:20

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:

ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ცისმარი ონიანი, ნოდარ ფეიქრიშვილი, იოსებ ბარათაშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, ბესო აბაშიძე, გოჩა სვანიძე, ზვიად კორძაძე, იმედა დვალიძე, ქეთევან ბექაური, მალხაზ ჯანგირაშვილი.

დღის წესრიგი:

1. თავმჯდომარის რეკომენდაცია ფინანსურ - ეკონომიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ასოციაციის დაარსებიდან დღემდე;
2. საბჭოს წევრების რეკომენდაციების განხილვა ფინანსურ-ეკონომიკური ექსპერტიზის თაობაზე და კითხვების განსაზღვრა ექსპერტებისათვის;
3. აღმასრულებელი საბჭოს წევრების მიერ საკურატორო მიმართულებების მიხედვით მომზადებული რეკომენდაციების განხილვა;
4. ადვოკატთა ასოციაციაში 23 გასაწევრიანებელ პირთა განცხადებების განხილვა და წევრად მიღება.

საბჭოს მსჯელობის შედეგად ერთხმად

გ ა დ ა წ ყ დ ა:

1. სარევიზიო კომისიის მიერ ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული ფინანსურ – ეკონომიკური ექსპერტიზის ჩატარება;

2. საბჭოს წევრებს მიეცეთ 2 კვირიანი ვადა საკუთარი საკურატორო მიმართულებების შესახებ პროექტის და სავარაუდო ბიუჯეტის მოსამზადებლად;
3. წარდგენილი 23 კანდიდატიდან 22 კანდიდატი მიღებულ იქნას ასოციაციის წევრად, ხოლო ერთ კანდიდატს – ნაირა სამსონიძეს უარი ეთქვას გაწევრიანებაზე, საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
4. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება იმ წევრთა დასადგენად, რომელთაც ერიცხებათ საწევრო დავალიანება. 2010 წლის 15 მარტს გამოქვეყნდეს საწევრო გადაუხდეღ წევრთა სავარაუდო სიები. დავალიანების დაფარვის ვადად განისაზღვროს ერთი თვე (15 აპრილამდე). აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ყველა წევრს დაეგზავნოს გამაფრთხილებელი შეტყობინება. ინფორმაცია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე და გამოკრულ იქნას ყველა შესაბამის დაწესებულებაში;
5. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა იოსებ ბარათაშვილმა და ზაზა ბიბილაშვილმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგინონ CCBE -ში /The Council of Bars and Law Societies of Europe/.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე